პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 კვირა 1 ივნისი № 128 (16254) ფასი 2 კაპ. 1975

მამათა გმირობის მაგალითზე

რავინ და არაფერი არ არის დავიწყებული. ეს დებულება ერთხელ კიდევ ნათლად დადასტურდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის ზეიმის დღეებში, როცა მთელ ჩვენს ძლევამოსილ სოციალისტურ სამშობლოს მძლავრ ტალღად მოედო კომუნიზმის მშენებელი ხალხის უშრეტი გრძნობა სიყვარულისა გმირებისადმი. მშობლიური ზრუნვა სამშობლოს გმირი დამცველებისათვის. გიზგიზებს ღრმობი ცეცხლი უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მოსკოვსა და თბილისში, მემორიალებთან და ძეგლებთან ლენინგრადსა და კიევში, მინსკსა და ბრესტში, ჭერჩსა და ოდესაში. სტალინგრადის დიადი კომპლექსი მამაის ყორღანზე— ეს არის საბჭოთა ხალხის გმირობის უკვნობი, უტეხი, განუმეორებელი გვირგვინი.

პიონერული ხაზრი და კომკავშირული ფიცი ამ წმიდათაწმიდა ადგილებზე, ახალგაზრდობის ხტიკენოი, სიყვარულით ანთებული, გმირებისადმი პატივისცემით გამსჭვალული მსჯელობანი იმას მეტყველებენ, რომ უკმნობია, უძლეველია ჩვენი ახალგაზრდობის, საბჭოთა ხალხის თავდადება დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი. ამ სიყვარულს მიჰყავს უწყვეტი ნაკადები ადამიანებისა ძეგლებთან და ობელისკებთან, მარადიულ ცეცხლთან. ეს არის ენით გამოუთქმელი, გულში ჩაკირული ფიცი — სწავლაში, შრომაში, ბრძოლაში ვიყოთ ღირსეული შემკვიდრენი პაპების, მამების, დედების, უფროსი ძმებისა და დებისა. მამათა მაგალითი ახპეტაკებს მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სულს.

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული აქტივის კრებაზე, რომელსაც ხელმძღვანელი პარტიული ამხანაგები ესწრებოდნენ, დიდი, საქმიანი ამაღელვებელი საუბარი გაიმართა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს საერთოდ ახალგაზრდობა — ჩვენი დიადი მონაპოვრების ხვალინდელი ბატონ-პატრონი და, კერძოდ, სტუდენტი ახალგაზრდობა. დაე ვზრდიდეთ მას მამათა გმირულ მაგალითებზე!

კომუნიზმის მომავალი მშენებლის ჩამოყალიბების, კომუნისტური სულისკვეთებით მისი აღზრდის უმძლავრეს კერებად იქცნენ ეს წმიდათაწმიდა ადგილები. ახალი ძალა. სილამაზე და სიდიადე მიენიჭა ამიერიდან დიდ ქალაქის ხაიხ პარკს, რომელშიც განისვენებს გმირი უცნობი ჯარისკაცის ნეშტი და ჩრაღდნობს მარადიული ცეცხლი. მკერდზე, რომლითაც იგი, მილიონობით თავის თანამოძალეულთან ერთად სამშობლოს იცავდა, აბნევია არა მარტო მშობლიური, ქართული მიწა, არამედ თითო პეშვი მიწა იმ გმირი ქალაქებისა და ციხესიმაგრეებისა, რომელთა დაცვასაც მან სიცოცხლე შეწირა. სტენდები ხალხთა მეგობრობის მუზეუმისა, რომელიც გამარჯვების დღესასწაულის დღეებში საზეიმოდ გაიხსნა ჩვენს დედაქალაქში. უშესანიშნავესი ექსპონატებით გვიამბობენ საბჭოთა მეომრების გმირობასა და ძმობაზე.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მგზნებარე მოწოდებად გაისმა ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევის სიტყვები:

— ჩვენო ძვირფასო ქალიშვილებო და ჰაბუკებო, გახსოვდეთ: 40-იანი წლების ახალგაზრდა თაობამ თავისი მხრებით ზიდა სამამულო ომის ბრძოლების ძირითადი სიმძიმე. თქვენი ცხოვრება და მუშაობა მამათა მაგალითის ღირსი უნდა იყოს. პარტიასა და ხალხს ხკერა თქვენი და თქვენზე ამყარებს იმედებს!

„გმირობისა და მამაცობის დრო როდი დამთავრდა დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრებასთან ერთად. გმირობისა და მამაცობისათვის ადგილი ჩვენი ხაქმიანობის ყველა უბანზე არის — სწავლაში წარჩინება, შრომაში სიბეჯითე, ყოფაცხოვრებაში პატიოსნება.

ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თბილისში გამართული საზეიმო კრების მაღალი ტრიბუნიდან იმის ამაღლებული, შთამაგონებელი, მომწოდებელი მაგალითები იქნა მოყვანილი, თუ რაოდენ მძლავრად იჩინა თავი დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველებზე პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებათ ახალგაზრდობის აღზრდის კეთილმყოფელმა შედეგებმა.

როგორც ყოველ წელიწადს, წელს, 4 მაისსაც ''ბორეული ყაბარდო-ბალყარეთის სოფელ ბრიმალკაში საბჭოთა კავშირის ქართველი გმირის ვლადიმერ კანკავას ძეგლ-მემორიალთან მოეწყო თბილისელ და ბრიმალკელ მოსწავლეთა და ბჭრობელთა ტრადიციული შეხვედრა. პედაგოგებმა იქ ჩაიყვანეს თბილისის 39-ე საშუალო სკოლის (სადაც სწავლობდა ქართველი გმირი) მოსწავლეები, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური ხასახლის პიონერები.

დაუვიწყარი, ამაღელვებელი იყო სულ ახლახან, 17 მაისს, თბილისის 88-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ი. გიორგაძე) ეზოში დიდი სამამულო ომის მონაწილე საქართველოს პედაგოგების რესპუბლიკური შეხვედრა-მიტინგი და მემორიალის საზეიმო გახსნა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, 1 ივნისს, ტრადიციად რომ აღინიშნება მთელ მსოფლიოში, ერთხელ კიდევ გაუნუმეტრელი მადლობის გრძნობით ვივსებით ომგადახდილი და შინმოუსვლელი მამებისა და პაპებისადმი. ეს მათ მისცეს მშვიდობა ჩვენს ბავშვებს, ჩვენი ცხოვრების ამ ყვავილებს; დაე ვზრდიდეთ ბავშვებს ასეთივე მადლობის გრძნობით, მშვიდობის სიყვარულით.

9 მაისი — გამარჯვების დღე — მუდამ სახალხო ზეიმია ჩვენს ქვეყანაში. ტრადიცია, ამ ოცდაათი წლის მანძილზე რომ შეიქმნა, პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის, მამათა ეხტაფეტისადმი ერთგულებისა და თავდადების სულისკვეთებით მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის კეთილმყოფელი ტრადიცია სულ უფრო და უფრო უნდა ვითარდებოდეს, ძლიერდებოდეს, იძენდეს ახალ, სულ უფრო ქმედითს შთაგონებას, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციების, სტუდენტი ახალგაზრდობის მთელ საქმიანობას ამ მიმართულებით ყოველნაირად უნდა უჭერდნენ მხარს პარტიული ორგანიზაციები,

სწორად უნდა წარვმართავდეთ სკოლებსა და ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ამ საინტერესო საქმიანობას. არა კამპანიურობით, არამედ თანმიმდევრულობით, მოფიქრებით უნდა გავწიოთ მუშაობა ჩვენი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, ახალი ადამიანის, კომუნიზმის მომავალი მშენებლის ფორმირებისთვის

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის'' კომპლექსური პრობლემის სამეცნიერო საბჭო და მისი საქართველოს სექცია, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი 1975 წლის 3-7 ივნისს აწყობენ სამეცნიერო სესიას პრობლემაზე

„რუსეთის პირველი რევოლუცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გენერალური რეპეტიციაა".

სესიის სხდომები გაიმართება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის საკაბო დარბაზში. დასაწყისი 10 საათზე.

უზბეკეთის ახალგაზრდა მექანიზატორთა ყრილობის მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო! გულითადად მოგესალმებით თქვენ — რესპუბლიკის ახალგაზრდა მექანიზატორთა ყრილობის მონაწილეებს.

დადი კმაყოფილებით შევიტყე, რომ უზბეკეთის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ინიციატივა გამოიჩინა — გადაწყვიტა 1975 წელს მოამზადოს ასათასი ახალგაზრდა მექანიზატორი სოფლის მეურნეობისათვის. რესპუბლიკის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას ღირსეული წელილი შეაქვთ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებაში, აქტიურად მონაწილეობენ ბამბის, მარცვლეულის, ბოსტნეულის მთლიანი მოსავლის გადიდებასა და ამ კულტურების მოსავლიანობის ამაღლებაში. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის ლენინის ორდენით დაჯილდოება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში უზბეკეთის ახალგაზრდობის დიდი დამსახურების აღიარებაა.

სოფლის მეურნეობის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული და მათი გადაჭრა მხოლოდ ამ დარგის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზით შეიძლება. ჩვენში სოფლის მეურნეობა წლითიწლობით აღიჭურვება სულ უფრო ძ�sტი ახალი, უფრო რთული ტექნიკით. იმისათვის, რომ მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ ეს ტექნიკა, საჭიროა მექანიზატორთა კვალიფიციური კადრები, რომლებსაც ღრმა ცოდნა აქვთ.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს თაოსნობას მხურვალედ დაუჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები და ჰაბუკები და ათიათასობით ახალგაზრდა ტრაქტორისტი, კომბაინერი, ბამბის ასაღები მანქანების მძღოლი, მეცხოველეობის ფერმების ოპერატორი და სხვა ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი შეემატება სოფლის მექანიზატორთა სახელოვან რაზმს, რაც ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაეხმარება ახალი წარმატებები მოიპოვონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში.

სულითა და გულით ვუსურვებ სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტებს, რომლებმაც გადაწყვიტეს მექანიზატორები გახდნენ, რაც შეიძლება სწრაფად დაეუფლონ ამ საინტერესო და საპატიო პროფესიას.

ლ. ბრეჟნევი.

დიდი მადლობა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა ამხანაგ ლუდვიგ სვობოდას გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მხურვალედ ულოცავენ სამშობლოს საპატიო ჯილდოს სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის საკეთილდღეოდ გაწეული დიდი შრომისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 31 მაისს გამართეს სადილი მისი უდიდებულესობის დანიის დედოფლის მარგრეტე მეორისა და მისი სამეფო უმაღლესობის პრინც ჰენრიკის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ისტორიული წარსულზე, იმ შესანიშნავ გარდაქმნებზე, რომლებიც რესპუბლიკაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კერძოდ, მეცნიერების დარგში. მან გულთბილად მოიგონა გამოჩენილი ფიზიკოსი მეცნიერის ნილსონ ბორის ჩამოსვლა საქართველოში.

გ. ს. ძოწენიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცხრე ხუთწლედის წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი დიდად განვითარდა, და თქვა, რომ მეათე ხუთწლედი შექმნის პირობებს რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალის შემდგომი ზრდისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მაგალითთან, თქვა მან, ჩანს კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძალა და სიცოცხლისუნარიანობა.

საუბარს ესწრებოდნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. კიკნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ნ. ზემსკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე ნ. დ. ბელოხვოსტიკოვი, სსრ კავშირის ელჩი დანიაში ნ. გ. ეგორიჩევი.

მათთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლილაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ლ. ს. სინაკეფროვი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე.

დანიის დედოფალს ახლდნენ მისი სამეფო უმაღლესობა პრინცი ჰენრიკი, დანიის ვაჭრობის მინისტრი ერლინგ ენსენი, დანიის ელჩი საბჭოთა კავშირში ვ. უ. ჰამერსჰაიმბი, სასახლის გოფმარშალი, კამერჰერი კ. გ. ანუდ-ვინტერფელდი, ცერემონიმეისტერი, კამერჰერი ი. გ. იორგენსენი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 31 მაისს გამართეს სადილი მისი უდიდებულესობის დანიის დედოფლის მარგრეტე მეორისა და მისი სამეფო უმაღლესობის პრინც ჰენრიკის პატივსაცემად.

სადილზე ესაუბრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ფ. ჯავახიშვილი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, ოფიციალური პირნი საბჭოთა კავშირისა და დანიის მხრივ, რომლებიც ახლავან დანიის დედოფალს.

სადილზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ და დანიის დედოფალმა მარგრეტე მეორემ წარმოთქვეს სიტყვები.

ქართველი ხალხი, თქვა გ. ს. ძოწენიძემ, კარგად იცნობს და დიდად აფასებს დანიელი ხალხის შრომისმოყვარეობასა და ნიჭს, რომელმაც მსოფლიოს მისცა კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწენი — ჰუმანისტი მწერალი ჰანს ქრისტიან ანდერსენი და თანამედროვეობის უდიდესი ფიზიკოსი ნილს ბორი.

სსრ კავშირისა და დანიის მეგობრულ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემა და სურვილი შეენარჩუნოთ და განვამტკიცოთ ჩვენი ხალხების მეგობრობა და კეთილმეზობლობა. დარწმუნებული ვართ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ თქვენი ვიზიტი მოემსახურება ამ კეთილშობილურ მიზანს.

თქვენ უკვე ბევრი საინტერესო ნახეთ ლენინგრადსა და მოსკოვში, პირველი შთაბეჭდილებანი გაქვთ თბილისზე. და ვფიქრობთ, რომ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, უკვე შეგიქმნათ გარკვეული წარმოდგენა, საბჭოთა ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის, შემოქმედებითი შემართების ალსანიშ მჩქეფარე ცხოვრებაზე.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად საქართველო, წარსულში რეგოლუციამდელი რუსეთის ერთ-ერთი ჩამორჩენილი განაპირა მხარე, თქვა შემდეგ გ. ს. ძოწენიძემ, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა აყვავებულ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრეწველობა, თანამედროვე ინტენსიური მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

ახლა ჩვენი ხალხი წარმატებით შრომობს მეცხრე ხუთწლედის დამთავრებისათვის და ადგენს უფრო გრანდიოზული მეათე ხუთწლედის გეგმებს. ჩვენი გეგმების წარმატებით შესრულების პირველი პირობაა მშვიდობა. ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყანა ასე მტკიცედ იცავს მშვიდობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა ხალხმა კარგად იცის ომის მთელი საშინელება და ამიტომ აქტიურად და ერთსულოვნად უჭერს მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის, ყველა ხალხის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განვითარებისათვის.

ჩვენ ვიცით და დიდად ვფიქრობთ, რომ დანიელ ხალხსაც სურს იცხოვროს და ითრთოს მშვიდობის პირობებში.

დასასრულ გ. ს. ძოწენიძემ დღეგრძელობა უსურვა მის უდიდებულესობას დედოფალ მარგრეტე მეორეს, მის სამეფო უმაღლესობას პრინც ჰენრიკს, ყველა დანიელ სტუმარს, საბჭოთა კავშირისა და დანიის ხალხთა მეგობრობას.

„საალუტ-4"

მეშვიდე დღე სადგურში

ფრუნზის მართვის ცენტრი, 31 მაისი. (საკადესი). კოსმონავტების — პეტრე კლიმუკისა და ვიტალი სევასტიანოვის მეშვიდე სამუშაო დღე „სალუტ-4" ორბიტულ სამეცნიერო სადგურში დღეს 9 საათზე დაიწყო მოსკოვის დროით.

კომპლექსური ამაჩარატურის დახმარებით კოსმონავტები დედამიწის ატმოსფეროს და ზედაპირის სპექტრომეტრიერებას ასრულებდნენ. გაზომვები წარმოებდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ევროპული ნაწილის, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ უაზასეთის რაიონებში. ამ ექსპერიმენტების მიზანია ატმოსფეროს ფენიკის, მეტეოროლოგიის ამოცანების გადაწყვეტა, ბუნებრივი რესურსების კვლევა.

სამუშაო დღის მანძილზე კოსმონავტებმა გაზომეს გალაქტიკური და მზის კოსმოსური სხივების იზოტოპური და ქიმიური შედგენილობა. ტექნიკური ექსპერიმენტების პროგრამის შესაბამისად ისინი ხვეწდნენ ატმოსფერული ტენის კონდენსატიდან წყლის რეგენერაციის სისტემებს.

30 მაისს ღამით დედამიწიდან განაგრძეს „სალუტ-4" სადგურის ლაზერული ლოკაციის ექსპერიმენტები.

ამხანაგები კლიმუკი და სევასტიანოვი თავს კარგად გრძნობენ. სამედიცინო კონტროლის მონაცემებით, მეთაურის მაჯისცემის სიხშირე წუთში 76, ბორტინჟინერისა — 72. არტერიული წნევა შესაბამისად უდრის ვერცხლის წყლის სვეტის 115/75 და 120/70 მილიმეტრს. „სალუტ-4" ორბიტული სადგურის ფრენა გრძელდება.

სურათზე: დანიის დედოფალი მარგრეტე მეორე და პრინცი ჰენრიკი საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან.
ფ. შორეიასა და ვ. კუზმენის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული აქტივის კრებაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითქმის ათიათასიანი კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც 31 მაისს შეიკრიბნენ ამ უმაღლესი სასწავლებლის საკტო დარბაზში, თითქოსდა განასახიერებდნენ ქართველი ახალგაზრდობის ფიქრებსა და მისწრაფებებს. კომკავშირული აქტივის კრებამ დიდი დამაჯერებლობით ცხადყო, თუ რა ღრმად აფასებენ, შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი წარმატებებისათვის მოწოდებს თვითეულ ახალგაზრდას პარტიის მიერ დასახული დიდებული ამოცანები.

საქართველოს უძველესი უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივი სწავლის და ზრდის სპეციალისტთა კადრებს, რომელთა მომზადებაზე, მოქალაქეობრივ სიმწიფეზე არის დამოკიდებული რესპუბლიკის სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი ზრდა, მისი მდიდარი კულტურული ტრადიციების გამრავლება. სწორედ ამიტომ უნივერსიტეტის სტუდენტთა საუკეთესო წარმომადგენლების კრება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა არა მარტო ამ უმაღლესი სასწავლებლისა, არამედ დგარეგან ჩვენი რესპუბლიკის ინტელიგენციის, იდეოლოგიური კადრების მთელ ცხოვრებაში. და კანონზომიერია, რომ კრებაში მონაწილეობდნენ მზეცოვანი ქართველი მეცნიერები, უნივერსიტეტის პროფესორები და მასწავლებლები, პარტიული და იდეოლოგიური მუშაკები.

მოხსენება „საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შედეგები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები" გააკეთა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის ბიუროს მდივანი მ. ბასილაშვილი, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე დოცენტი პ. მარგველაშვილი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ქ. ამირჯანოვი, პროფესორი ა. ხარაძე, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის ბიუროს მდივანი თ. იაშვილი, უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებათა საბჭოს თავმჯდომარე ზ. გიორგაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრი, ისტორიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ა. თავართქილაძე, ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი მ. ლომაძე, ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ტაბიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრი, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ი. თევზორაძე. მათ პრინციპულად ილაპარაკეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების, კომკავშირელთა პასუხისმგებლობის, თვითდისციპლინისა და თვითკონტროლის გაძლიერების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა მიაღწიონ თვითეული ღონისძიების კონკრეტულობას, ეფექტიანობას, მეცნიერული დასაბუთების მიზანდასახულობას, ახალგაზრდობის აღზრდას სიტყვისა და საქმის ერთიანობის სულისკვეთებით.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა კრიტიკულად გააანალიზეს უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც დაკისრახეს სკკპ XXIV ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პოზიტიურმა ძვრებმა, რომლებიც ამ ბოლო ხანს მოხდა რესპუბლიკის ცხოვრებაში, უკომპრომისო ბრძოლამ ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და ნორმების დამკვიდრებამ უდიდესი გავლენა მოახდინეს ყველა მშრომელზე, კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობაზე, და, კერძოდ, სტუდენტი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური რწმენის განმტკიცებასა და აქტივობის გაძლიერებაზე.

რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებამ, ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური განწყობის შეცვლამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს უმაღლესი სასწავლებლის ძირითადი მაჩვენებლის — სტუდენტთა აკადემიური მოსწრების — გაუმჯობესებაზე. თუ გასულ სასწავლო წელს თბილისის უნივერსიტეტში ეს მაჩვენებელი 75 პროცენტს შეადგენდა, მიმდინარე წლის პირველ სემესტრში იგი გაიზარდა 81,8 პროცენტამდე, ხოლო ისტორიისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე — 91 პროცენტამდე. სტუდენტთა 45 პროცენტი ფრიადოსნები და კარგოსნები არიან. ეს კი ნიშნავს, რომ შემცირდა სამოსნების — ეგრეთ წოდებული „საშუალო სტუდენტების" რიცხვი. მაგრამ, ამავე დროს, სტუდენტთა 9,2 პროცენტს, დამატებითი სესიის შედეგების მიხედვითაც კი, აქვს არადამაკმაყოფილები შეფასებები, მათ შორის 54 სტუდენტს სამ საგანში.

უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტს ყალიბებს არა მარტო ორი-ორის მეგობრობას. თბილისელებს კი ვუსურვებთ ბედნიერებას, კეთილდღეობასა და ნათელ მომავალს.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

31 მაისს მისი უდიდებულესობა დანიის დედოფალი მარგრეტე მეორე და მისი სამეფო უმაღლესობა პრინცი ჰენრიკი ესტუმრნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს. გულთბილი იყო შეხვედრა თანამედროვე ქართული ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელთან.

საპატიო სტუმრებმა დათვალიერეს ლ. გუდიაშვილის ნაწარმოებები. მხატვარმა დანიის დედოფალს სანუქრად მიართვა ფერწერული ნამუშევარი „ხილის კრეფა".

ქართული საბჭოთა ხელოვნების გაცნობა დანიის დედოფალმა და პრინცმა ჰენრიკმა განაგრძეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში. იქ მათ უთხრეს, რომ ამ უმაღლესმა სამხატვრო სასწავლებელმა, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარება, ამას წინათ აღნიშნა თავისი ორმოცდაათი წლისთავი. საპატიო სტუმრებმა გამოიკითხეს, თუ როგორ არის ორგანიზებული სასწავლო პროცესი, გაეცნენ სტუდენტთა შემოქმედებას.

დანიის დედოფალი და პრინცი ჰენრიკი იყვნენ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც დაესწრნენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის, საქართველოს სახელმწიფო კაპელისა და ანსამბლ „ვორდოლას" რეპერტუარს, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე და ანსამბლის სოლისტი თ. ქევხიშვილი.

შემდეგ მისმა უდიდებულესობამ დანიის დედოფალმა მარგრეტე მეორემ და მისმა სამეფო უმაღლესობამ პრინცმა ჰენრიკმა დათვალიერეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, იყვნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. გულითადი შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს ბავშვებმა, რომლებიც სასახლეში ავითარებენ თავიანთ შემოქმედებითს ნიჭს.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა 31 მაისს დარბაზობა გაუმართა დანიის პრესის საგენტოების, ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს კორესპონდენტებს, რომლებიც მის უდიდებულესობას დანიის დედოფალს მარგრეტე მეორეს და მის სამეფო უმაღლესობას პრინც ჰენრიკს ახლავან ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობაში. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიის დედოფლის მეგობრული ვიზიტი

მისი უდიდებულესობა დანიის დედოფალი მარგრეტე მეორე და მისი სამეფო უმაღლესობა პრინცი ჰენრიკი ესტუმრნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს. გულთბილი იყო შეხვედრა თანამედროვე ქართული ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელთან.

საპატიო სტუმრებმა დათვალიერეს ლ. გუდიაშვილის ნაწარმოებები. მხატვარმა დანიის დედოფალს სანუქრად მიართვა ფერწერული ნამუშევარი „ხილის კრეფა".

ქართული საბჭოთა ხელოვნების გაცნობა დანიის დედოფალმა და პრინცმა ჰენრიკმა განაგრძეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში. იქ მათ უთხრეს, რომ ამ უმაღლესმა სამხატვრო სასწავლებელმა, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარება, ამას წინათ აღნიშნა თავისი ორმოცდაათი წლისთავი. საპატიო სტუმრებმა გამოიკითხეს, თუ როგორ არის ორგანიზებული სასწავლო პროცესი, გაეცნენ სტუდენტთა შემოქმედებას.

დანიის დედოფალი და პრინცი ჰენრიკი იყვნენ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც დაესწრნენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის, საქართველოს სახელმწიფო კაპელისა და ანსამბლ „ვორდოლას" რეპერტუარს, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე და ანსამბლის სოლისტი თ. ქევხიშვილი.

შემდეგ მისმა უდიდებულესობამ დანიის დედოფალმა მარგრეტე მეორემ და მისმა სამეფო უმაღლესობამ პრინცმა ჰენრიკმა დათვალიერეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, იყვნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. გულითადი შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს ბავშვებმა, რომლებიც სასახლეში ავითარებენ თავიანთ შემოქმედებითს ნიჭს.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა 31 მაისს დარბაზობა გაუმართა დანიის პრესის საგენტოების, ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს კორესპონდენტებს, რომლებიც მის უდიდებულესობას დანიის დედოფალს მარგრეტე მეორეს და მის სამეფო უმაღლესობას პრინც ჰენრიკს ახლავან ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობაში. (საქინფორმი).

15 ივნისი — საბჭოების არჩევნების დღეა

ხალხის დიდი ნდობა

შემხვედრები ამომრჩევლებთან

საზეიმოდ არის მორთული ანდიჯანის ოლქის მოსკოვის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის დაბა. 29 მაისს კოლმეურნეობის კლუბში პახტაბადის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **შარაფ რაშიდოვს-ძე რაშიდოვს.**

შეხვედრა გახსნა პარტიის მოსკოვის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ტურსუნოვმა.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. მუსაევმა ილაპარაკა შ. რ. რაშიდოვის ცხოვრების გზასა და შრომითს საქმიანობაზე. მან ყველა ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ახუნბაბაევის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ხ. ბაზარბაევი, „უზსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნ. ბაფოროვი, სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. მახკამოვი, № 30 სკოლის მასწავლებელი ნ. სინეგუბოვა, უბნის ექიმი ს. კამილოვი, ნავოის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ხ. ეშანკულოვა.

სიტყვა წარმოთქვა შ. რ. რაშიდოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან მადლობა გადუხადა პახტაბადის საარჩევნო ოლქის მშრომელებს დიდი პატივისა და ნდობისათვის — უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებისათვის.

ხადღესასწაულოდ არის მორთული ვორონეჟის ოლქის ლისკინსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „მეორე ხუთწლედის“ კულტურის სახლი. 29 მაისს აქ ვორონეჟის ოლქის გეორგიუდეჟის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **კონსტანტინე თევდორეს-ძე კატუშევს.**

შეხვედრა გახსნა მშრომელთა დეპუტატების ლისკინსკის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. შმიტკომ.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ლესკინსკის რაიონის კოლმეურნეობა „დავიდოვკის“ პარტკომის მდივანმა პ. პოპოვმა დამსწრეთ გააცნო კ. კატუშევის ცხოვრების გზა და შრომითი საქმიანობა და მოუწოდა ოლქის ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ მას ხმა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სკკპ ლისკინსკის რაიკომის პირველი მდივანი ე. ციპლიაევი, კოლმეურნეობა „ვოსხოდის“ ფერმის გამგე ა. მიხაილოვი, საბჭოთა მეურნეობა „მეორე ხუთწლედის“ დირექტორი ფ. დორჩანი, დრაკინსკის სამუალო სკოლის მასწავლებელი ე. კონდრატიევა, კოლმეურნეობა „დონოგორიეფის“ მექანიზატორი ი. ბელოუსოვი, მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნ. საფონოვა. მათ სიამაყის გრძნობით ილაპარაკეს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის უდიდეს მიღწევებზე, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის სწრაფ ზრდაზე, ხაზს უსვამდნენ, რომ საბჭოთა ქვეყნის წარმატებები განსაზღვრავს და ამრავლებს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კ. თ. კატუშევმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან გულთბილად მადლობა უძღვნა ლისკინსკის რაიონის მრეწველობის საწარმოების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს, ლისკინსკის რაიონის ყველა მშრომელს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **კონსტანტინე თევდორეს-ძე კატუშევს.**

შეხვედრა გახსნა მშრომელთა დეპუტატების ლისკინსკის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. შმიტკომ.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ლესკინსკის რაიონის კოლმეურნეობა „დავიდოვკის“ პარტკომის მდივანმა პ. პოპოვმა დამსწრეთ გააცნო კ. კატუშევის ცხოვრების გზა და შრომითი საქმიანობა და მოუწოდა ოლქის ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ მას ხმა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სკკპ ლისკინსკის რაიონის პირველი მდივანი ე. ციპლიაევი, კოლმეურნეობა „ვოსხოდის“ ფერმის გამგე ა. მიხაილოვი, საბჭოთა მეურნეობა „მეორე ხუთწლედის“ დირექტორი ფ. დორჩანი, დრაკინსკის სამუალო სკოლის მასწავლებელი ე. კონდრატიევა, კოლმეურნეობა „დონოგორიეფის“ მექანიზატორი ი. ბელოუსოვი, მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნ. საფონოვა. მათ სიამაყის გრძნობით ილაპარაკეს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის უდიდეს მიღწევებზე, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის სწრაფ ზრდაზე, ხაზს უსვამდნენ, რომ საბჭოთა ქვეყნის წარმატებები განსაზღვრავს და ამრავლებს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კ. თ. კატუშევმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან დიდი მადლობა გადუხადა კრების მონაწილეებს, კოვროვის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც დაასახელეს და მხარი დაუჭირეს მის კანდიდატურას რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

30 მაისს კულტურის ახალ სასახლეში „ოქტომბერში“ შეიკრიბნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსკოვის ოლქის პოდოლსკის საქალაქო საარჩევნო ოლქში ამომრჩეველები შეხვდნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **დმიტრი თევდორეს-ძე უსტინოვს.**

შეხვედრა გახსნა სკკპ კოვროვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ფილიპოვმა.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — მანქანათმშენებელმა ინვინერმა ი. საზიკინმა შეკრებილთ გააცნო დ. თ. უსტინოვის ცხოვრების გზა და შრომითი საქმიანობა და ოლქის ყველა ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ მას ხმა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ვ. დეგტიარიოვის სახელობის ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. კოჩერეიგინი, მექანიკური ქარხნის კომპლექსური ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ლ. პროლეტოვი, კოლმეურნეობა „ისკრის“ სელეცოის სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგე კ. ბორბაშევა, საქსკავატორო ქარხნის შიგმჭარხავი ხარატი სოციალისტური შრომის გმირი ბ. აფონინი, ელადიმირის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოვროვის ფილიალის მეცნიერი თანამშრომელი გ. ბესუდნოვა და სხვები. მათ ილაპარაკეს უდიდეს მიღწევებზე, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ლენინური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა დ. თ. უსტინოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან დიდი მადლობა გადუხადა კრების მონაწილეებს, კოვროვის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც დაასახელეს და მხარი დაუჭირეს მის კანდიდატურას რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

30 მაისს კულტურის ახალ სასახლეში „ოქტომბერში“ შეიკრიბნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსკოვის ოლქის პოდოლსკის საქალაქო საარჩევნო ოლქში ამომრჩეველები შეხვდნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **დმიტრი თევდორეს-ძე უსტინოვს.**

შეხვედრა გახსნა სკკპ კოვროვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ფილიპოვმა.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ზეინკალმა ი. სამოხვალოვმა შეკრებილთ გააცნო ი. ვ. კაპიტონოვის ცხოვრების გზა და შრომითი საქმიანობა.

კრებაზე გამოვიდნენ კ. გოტვალდის სახელობის კაბელის ქარხნის მუშა ა. მატკოვა, ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი ე. მაკაროვი, „მოსკოვოლქმშენის“ № 1 ტრესტის მოსაპირკეთებელ სამუშაოთა სამშენებლო სამმართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი მღებავი ნ. ბარინოვი, ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს ექიმი ა. გალდინა.

ორატორებმა მოუწოდეს ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

სიტყვა წარმოთქვა ი. ვ. კაპიტონოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. (საკდესი).

საქმიან ვითარებაში

რესპუბლიკაში საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს ამომრჩეველთა შეხვედრები საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან. ამომრჩევლები განაწესებს აძლევენ კანდიდატებს, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ პარტიის წინასწარდახასიათებულობათა შესრულებას, აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

თბილისი. გაიმართა ამომრჩეველთა შეხვედრა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ქალაქ თბილისის № 25 მარქსის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანთან **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ლანდიასთან.**

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თბილისის მოგზაურობათა და ექსკურსიათა ბიუროს დირექტორმა გ. მღებრიშვილმა.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. სირბილაძემ შეკრებილთ მოუთხრო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებასა და მეცნიერულ საქმიანობაზე, მის წვლილზე ქართულ მეცნიერებაში და ოლქის ყველა ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ხმა მისცენ მას.

შეხვედრაზე გამოვიდნენ საქართველოს მოდელების სახლის დირექტორი გ. ბერაძე, დიასახლისი ე. სხირტლაძე და სხვები.

დასასრულ გამოვიდა ნ. ა. ლანდია, რომელმაც მადლობა გადუხადა ამომრჩეველს დიდი ნდობისათვის და აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ღირსეულად გაამართლოს ეს ნდობა.

ჟუთისი. კიკვიძის სახელობის კლუბში ქალაქ ქუთაისის № 232 თბილისის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა შეხვედრა მოუწყეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრს — პოლიტსამმართველოს უფროსს გენერალ-ლეიტენანტს **არკადი გრიგოლის-ძე შელემინს.**

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ჯ. ქემულარიამ.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — 22-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა ვ. ჯანელიძემ ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებასა და საქმიანობაზე. ა. გ. შელემინმა განვლო გზა რიგითი ჯარისკაციდან გენერალ-ლეიტენანტამდე. იგი მამაცურად იბრძოდა დიდი სამამული ომის ფრონტებზე, აქტიურად მონაწილეობდა გერმანელ-ფაშისტა დამპყრობთაგან ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის ქალაქებისა და სოფლების განთავისუფლებაში. დაჯილდოებულია ოცი საბრძოლო ორდენითა და მედლით.

შეხვედრაზე გამოსულმა ამხანაგებმა — ძველმა ბოლშევიკმა და შრომის ვეტერანმა ა. ქაადუამ, ახალგაზრდა ამომრჩეველმა ნ. ცხელაშვილმა, სამეურნეო გაერთიანება „გელათის“ კომუნისტური შრომის დამკვრელმა ლ. მახვილაძემ და სხვებმა თქვეს, რომ არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცემენ ხმას ღირსეულ კანდიდატს.

ა. გ. შელემინმა მადლობა გადუხადა ამომრჩევლებს ნდობისათვის.

სოხუმი. რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავიანთ წარმომადგენლად სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა აირჩევნების წინა კრებაზე ერთსულოვნად დაასახელეს საუკეთესო მცხობელ-კონდიტერი **ჯულიეტა აქვსენტის ასული ძაძიგური.** ამ გადაწყვეტილებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ სოხუმის № 327 კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა.

ამომრჩევლებისა და დეპუტატობის კანდიდატის შეხვედრისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი კრება შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრმა ლ. ბგაბაშ.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — საკონდიტრო ფაბრიკის დირექტორმა ლ. სანიკიძემ და ამომრჩეველებმა თ. ასათიანმა, ნ. წერეთელმა, დ. ხაჩატუროვამ, ე. ჩერნიშოვამ გულთბილად დაახასიათეს დეპუტატობის კანდიდატი. ჯ. ა. ძაძიგურმა თავის სიტყვაში გულთბილი მადლობა გადუხადა შეკრებილთ ნდობისათვის და ამომრჩეველს აღუთქვა, რომ ღირსეულად შეასრულებს მათ განაწესებს.

ფუასანი. სოფელ დღვანის საღდესასწაულოდ მორთულ კლუბში № 387 დღვანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველმა შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სოფელ ოლადაურის კოლმეურნეობის წარჩინებულ მეთამბაქოეს **ნათელა იოსების ასულ ჭარციკაძეს.**

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ. შეხვედრის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. თურმანიძემ.

ტრიბუნაზეა ნდობით აღჭურვილი პირი — სოფელ დღვანის საშუალო სკოლის პედაგოგი ვ. ფუტკარაძე.

— თუმცა ჩვენი კანდიდატი ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე კარგი შრომითი სკოლა აქვს გავლილი, — თქვა მან, — იგი 1963 წლიდან მუშაობს კოლმეურნეობაში და ამ ხნის მანძილზე წარჩინებული მეთამბაქოე გახდა. მეცხრე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ნ. ი. ჭარციკაძემ 300 პროცენტით შეასრულა. თავისი პირადი მეცხრე ხუთწლიანი გეგმა — დაამზადა 3.130 კილოგრამი ხმელი თამბაქო. ეს ნიშნავს, რომ მან მეათე ხუთწლედიც შეასრულა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეები მ. გოგიტიძე, თ. ფუტკარაძე და სხვები.

ნ. ი. ჭარციკაძემ ამომრჩეველს აღუთქვა, რომ გაუმართლებს ნდობას.

ცხინვალი. გაიმართა ქალაქ ცხინვალის № 392 ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამ ოლქში **რომან არსენის-ძე ბეტეევთან.**

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა მ. ჯიოევმა.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს — ელექტროგამაცივებელი მანქანების ქარხნის კიდრების განყოფილების უფროსს დ. ვალიევს. მან ამომრჩეველს გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, ილაპარაკა მის შრომითს საქმიანობაზე. ელექტროგამაცივებელი მანქანების ქარხნის მოწყობილობის შემეფეთებელ ზეინკალთა ბრიგადირი რ. ა. ბეტეევი მომთხოვნია როგორც საკუთარი თავისადმი, ისე ამხანაგებისადმი. თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ქარხნის ახალგაზრდა მშრომელებს, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში — არ'ს ცხინვალის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. ბრიგადა, რომელსაც რ. ა. ბეტეევი ხელმძღვანელობს, ყოველთვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხარისხს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 121 მოძრაკი მექანიზებული კოლონის მექანიკოსი ი. ტასოევი, „კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს ტელეგრაფისტი ა. კულუმბეგოვა და სხვები. მათ ამომრჩეველს მოუწოდეს არჩევნების დღეს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს.

რ. ა. ბეტეევმა მადლობა გადუხადა შეკრებილთ მისი შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვა, რომ ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებს, რათა გაამართლოს მათი ნდობა.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

გულგასახარიც და გულსატკენიც

რედაქციას უპასუხებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ჯარტიის გალის რაიკომი

„კომუნისტში“ 1975 წლის 20 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი — „გულგასახარიც და გულსატკენიც“, რომელშიც მხილებული იყო გალის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული ნაკლოვანებანი. ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რედაქციას აცნობა: წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. საქართველოს სსრ სოფლიო მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის № 11 მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ უხანზეგროდ გააშიანურა ხიდის საბჭოთა მეურნეობაში 1973 წელს დაწყებული მინერალური სასუქების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფარდულების მშენებლობა.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სთხოვა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დაარქაროს აღნიშნული მშენებლობის დამთავრება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხაკაიას სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს დაევალა გააძლიეროს მშენებლობის ტემპი და უზრუნველყოს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისა და ამბანოს მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულ ვადაში.

წელეულს გათვალისწინებულია ხაბჭოთა მეურნეობაში საბავშვო ბაგა-ბალის მშენებლობის დაწყება და დამთავრება 1976 წელს. ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა განხორციელდება მეათე ხუთწლედში. ხუმუშკურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩაბარებული დაშრობილი ფართობების დიდი ნაწილი უხარისხოდ იყო შესრულებული. „ამან გამოიწვია ჩაის პლანტაციების დაკნინება, პლანტაციების ნაწილის დაღუპვა. ეს დადგომარეობა ეცნობა ზემდგომ ორგანოებს.

პარტიის გალის რაიკომი გვაცნობებს, რომ წერილში — „გულგასახარიც და გულსატკენიც“ აღნიშნული ფაქტები 13 მაისს განიხილა პარტიის გალის რაიკომის ბიუროს, რომელმაც სწორად ჩათვალა წერილში მოყვანილი მცდარი ფაქტები. რაიკომის ბიუროს დაავალა მოძრავ მექანიზებულ კოლონას (უფროსი ამხ. ესებუა) და № 2 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს გალის უბანს (უფროსი ამხ. ცაცავა) 1975 წლის 20 სექტემბრისათვის უზრუნველყონ მინერალური სასუქების შესანახი ნაგებობის და მანქანა-ტრაქტორების სადგომის საექსპლოატაციოდ გადაცემა, ამბანოს მშენებლობა დამთავრდეს 1975 წლის ნოემბრისათვის, ხოლო საყოფაცხოვრებო კომბინატისა — 25 დეკემბრისათვის.

დიხაზურვის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას დაევალა 10 დღეში ააშენოს ერთი საველე ფარდული, ხოლო სოფლის კოოპერატივის გამგეობამ უზრუნველყოს გამომცხვარი პურითა და სხვა პროდუქტებით სოფლის მშრომელთა მომარაგება. მიღებული ზომების შედეგად სოფელში რადიოხაზები აღდგენილია.

რაიკომის ბიუროს დაადგინა მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა მოხსენდეს რაიკომს ორი თვის ვადაში.

ᲛᲔᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ Ლ. ᲡᲕᲝᲒᲝᲓᲐᲡ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 31 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ლ. შტროუგალის თანხლებით ეწვია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს არმიის გენერალს ლ. სვობოდას და გადასცა მას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გმირის ოქროს ვარსკვლავი.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის წინადადებით ეს საპატიო წოდება ლ. სვობოდას მესამედ მიენიჭა რესპუბლიკის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ განვითარებაში, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებაში დამსახურებისათვის.

ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲛ ᲛᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲙᲔᲛ

ნიკოზია, 31 მაისი. (საკდესი). კვიპროსში მშვიდობიანი ცხოვრების ძირითადი პირობა კუნძულის ბერძენთა და თურქთა თემების მეგობრული ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობაა, განაცხადეს აქ ქვეყნის ოთხი ძირითადი პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა.

კვიპროსის ტელევიზიით გამოსვლისას კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. პაპაიოანუმ, აგრეთვე „ცენტრის ერთიანი დემოკრატიული კავშირის“, „ეროვნულად მოაზროვნეთა ერთიანი პარტიის“ და დემოკრატიული ეროვნული პარტიის ხელმძღვანელებმა რესპუბლიკის ბერძენ და თურქ მოსახლეობას მოუწოდეს არ დაუშვან თემთაშორისი შუღლი, ნორმალური ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან, წინააღუდგნენ იმპერიალისტური წრეების გეგმებს კვიპროსის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ლიკვიდაციის ცდებს.

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔ

ამ სურათისათვის, რომელსაც ჰქვია „იტანჯებიან პატარები“, ამერიკულ გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ ფოტოკორესპონდენტს ო. კარტერს „უორლდ პრეს ფოტოს“ საერთაშორისო ფოტოკონკურსის მთავარი პრიზი მიენიჭა.

ᲐᲤᲨ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲔᲢᲝ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა ვეტო დაადო კონგრესის მიერ მოწონებულ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს 5,3 მილიარდი დოლარის ასიგნებას უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო პროგრამისათვის.

მიიღო რა ეს გადაწყვეტილება, იუწყება თეთრი სახლის წარმომადგენელი, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „კანონპროექტი „არ წარმოადგენს ეფექტიან ღონისძიებას უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად“ და შეიძლება გახდეს შეერთებულ შტატებში ინფლაციის ახალი ტალღის წარმოშობის მიზეზი.

როგორც ცნობილია, უმუშევართა რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა 8 მილიონს აღემატება. (საკდესი).

ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ბეირუთი. 30 მაისი. (საკდესი). მემარჯვენე პარტია კატაბის ფალანგისტებსა და პალესტინელებს შორის ამასწინანდელი შეიარაღებული შეტაკებების შემდეგ ვითარება ლიბანის დედაქალაქში თანდათან კალაპოტში დგება.

გუშინ კანტი-კუნტად გაისმოდა სროლა მარტო ამასწინანდელი ინციდენტების რაიონში, მაგრამ იგი სწრაფად შეწყდა გაერთიანებული სამხედრო პატრულების ჩარევის შემდეგ, რომლებმაც შედეგად ლიბანის ხელისუფალთა და პალესტინის წინაალმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელნი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მუშაობა განაახლა ქალაქის დაწესებულებათა და საწარმოთა უმრავლესობამ, გაიღო კინოთეატრები და კაფეები.

ლიბანის ქრისტიანული თემის ხელმძღვანელობა მოსახლეობისადმი მიმართვაში ხაზს უსვამდა, რომ საჭიროა უზრუნველყონ ეროვნული ერთიანობა ქვეყანაში.

რ. კარამემ, რომელსაც დავალა ლიბანის ახალი მთავრობის შედგენა, გუშინ დაამთავრა კონსულტაციები ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან და პარლამენტის წევრებთან.

მოლაპარაკება ᲒᲣᲨᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ

ᲒᲣᲨᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 31 მაისი. (საკდესი). რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ მიიღო ისრაელის პრემიერის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ალონი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება რუმინეთში. როგორც რუმინეთის ჟურნალისტის საგანგებო ინფორმაციიდან ირკვევა, ალონმა ინფორმაცია მიაწოდა ბუქარესტში ჩასულ ებრაელ-ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფს ისრაელ-რუმინეთის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობაზე.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

ᲒᲤᲠ ᲙᲔᲚᲐᲕ ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲨᲘ

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ

ᲒᲝᲜᲘ, 31 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე, ქალაქ ვიტერბერგის მახლობლად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრიდან დაახლოებით 100 კილომეტრზე კატასტროფის დროს დაიმსხვრა ამერიკის მზვერავი მაღლივ რეაქტიული თვითმფრინავი „უ-2“. მფრინავმა მოასწრო კატაპულტით გადმოხტომა. იგი მიიყვანეს ვისბადენში ამერიკის სამხედრო ჰოსპიტალში. მალე კატასტროფის შემდეგ ტყის რაიონს, სადაც კატასტროფა მოხდა, ალყა შემოარტყეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეებმა. მათ ჩამოართვეს ფოტოფირები ყველას, ვინც გადაიღო „უ-2“ თვითმფრინავის კატასტროფის ადგილი.

ეს თვითმფრინავი შედიოდა იმ ხუთი „უ-2“ თვითმფრინავის რიცხვში, რომლებიც ახლა განლაგებულია ამერიკის ფუტერფილდის (ინგლისი) აეროპორტში. როგორც გამოაცხადეს, თვითმფრინავები ინგლისში ჩავიდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების თავზე საფრენად „დიდ სამოლეზე ელექტრონული სანადაგაციო მოწყობილობის“ გამოცდის მიზნით.

მაგრამ, როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოს

ფესტივალი—„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“

ხმა გულისა

ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური ფოლკლორის კონცერტზე

□

...ენარმს ყოველისა სიამოვნებით ... აღვნიშნოთ, რომ „ამიერკავკა... მუსიკალური გაზაფხული“ უკვე ...დიციად გადაიქცა, რაც ბუნებრივ ...ნად მიგვაჩნია. შეიძლება ითქ... რომ ამ სამი რესპუბლიკის მუ...ლური კულტურის დღეანდელი ...ვალი, აზერბაიჯანელებს, სო... და ქართველებს შორის მრა...ფაუკუნოვანი კულტურული ურთა...ობით არის ნაკარნახევი და რაც ... გადის, კიდევ უფრო მტკიცდება ...ერმავდება. ბუნებრივად მიმაჩნია ..., რომ ამიერკავკასიის ხალხების ...ყლორული თუ პროფესიული მუ... საზეიმო ვითარებაში ჩვენება ...ად საქართველოს დედაქალაქ ...ლისში ხდება და ეს კანონზომი... თბილისი ჭეშმარიტად ინტერ...ონალური, მრავალეროვანი ქა... ქართულ მიწა-წყალზე სხვა ... ბევრმა მათგანმა გამომჭღაჭვნა ...ი მუსიკალური ნიჭი, აქვე გაი... გზა სამუსიკო სარბიელისაკენ. ...ნობილია, რომ აზერბაიჯანის გა...ნილმა კომპოზიტორებმა, ეროვ...ი მუსიკალური ხელოვნების მეს...ებმა უზეერ ჰაჯიბეკოვმა და მუ...ამ მაკომაევმა პირველდაწყებითი ...უსიკო განათლება გორის სამა...ველბლო სემინარიაში მიიღეს. ...ს ორი მომავალი კომპოზიტორი ...ებლავს ქართულ სიმღერებს, რო...ებსაც სემინარიელი ამხანაგები ...ად ასრულებდნენ. გორში სწავ...ის პერიოდის გახსენებისას უზეერ ...ბეკოვმა, რომელიც 30-იან წლე... გავიცანი, ქართული ხალხური ...ღერებისგან მიღებული შთაბეჭ...ება შემდეგი აღფრთოვანებული ...ვებით გადმომცა: „ქართული ...ური სიმღერა, რომელმაც ჩემზე ...ი ზეგავლენა მოახდინა, სამუდა... ჩაიბეჭდება ჩემს გულში“.

...ენ სასახელოდ მიგვაჩნია, რომ ...ამერკავკასიის ხალხთა მუსიკალურ ფოლკლორს დაეთმო; ეს იყო თავისი შინაარსით, ხასიათითა და მნიშვნელობით გამორჩეული კონცერტი, ხალხის გულის ხმის, ფოლკლორული მუსიკის უკვდავების, მისი შემოქმედების უძლიერესი ძალის ნთელი გამოვლინება.

პირველი განყოფილება აზერბაიჯანელ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას დაეთმო. დამახასიათებელია, რომ პროგრამას, უმთავრესად, ცნობილი მუდამები —აზერბაიჯანული მუსიკის მშვენება შეადგენდა. მუდამი მელოდიურად მდიდარი, ტექნიკურად რთული და ფართოდ განვითარებული ნაწარმოებია, მას, ამასთანავე, კილოთა რთული სისტემა უდევს საფუძვლად და სრულდება ან ცალკეულ საკრავზე ან მომღერლის მიერ სამი საკრავის — თარის, ქემანჩისა და დოლის ან დაირის თანხლებით.

აზერბაიჯანელი სტუმრები ჩინებული ოსტატები აღმოჩნდნენ და თავისი რთული შინაარსიანი პროგრამა, რომელიც ოთხი მუდამით („მაურ“, „გბთარ“, „დუგან“, „სეგიახ“) და ყარაბაღული შეკასტით იყო წარმოდგენილი, დახვეწილი გემოვნებით შეასრულეს.

დასელოვნებულ ხალხურ მომღერლებს — აზერბაიჯანის სახალხო არტისტს შეკვეთ ალეკპეროვს, აზერბაიჯანის დამსახურებულ არტისტს ისლამ რზაევს და მესაკრავეებს — აზერბაიჯანის სახალხო არტისტს გაჯი მამედოვს (თარი) და აზერბაიჯანის დამსახურებულ არტისტს გაბილ ალიევს (ქემანჩა) აღფრთოვანებით შეხვდა მსმენელი. მათ წარმატებას შეეწყო ხელი მესაკრავეთა ტრიოს — აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტების გარიბ ბაირამოვის (თარი), ტალემ ბაკიხანოვის (ქემანჩა) და ...ბლულზე დაკრული „მწყემსის ძახილი“, დიდი მოწონება დაიმსახურა ჯ. გასპარიანისა და გ. გიუდჯანის მიერ დუდუკების ოსტატურად დაკვრამ, თავისი უშუალობით მწყემსმა მესტვირემ ხ. სარგსიანმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, მ. აბოვიანმა ფაქიზად შეასრულა „ავნიური ნანა“ და „დლე იამან“.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა სახელმწიფო სიმფონიურ სახელმწიფო საგუნდო კაპელამ, რომელსაც სომხეთის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მალანტიერი დირიჟორი ოანეს ჩკიჯიანი ხელმძღვანელობს.

მესამე განყოფილება მთლიანად ქართულ ხალხურ მრავალმეანობას დაეთმო. მონაწილეობდნენ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გურამ ბაქრაძის სამხატვრო ხელმძღვანელობით; (ქორეოგრაფი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ ხონელიძე). ჩოხატაურის რაიონის კულტურის სახლის ხალხური ანსამბლი საქართველოს დამსახურებული არტისტის ოთარ ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით და საერთაშორისო კონკურსისა და საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი ვოკალური ანსამბლი „გორდელა“ — საქართველოს დასახურებული არტისტის თეიმურაზ ქვეხიშვილის ხელმძღვანელობით.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.

• • •

სურათებზე: ამიერკავკასიის მუსიკალური ფოლკლორის კონცერტის მონაწილენი. ზემოდან, სომხეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა; მღერის აზერბაიჯანის სახალხო არტისტი შ. ალეკპეროვი; ტრიო — აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ტ. ბაკიხანოვი (მარჯვნივ), გ. ბაირამოვი (შუაში), მსახიობი ნ. ნამაზოვი; საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი; ჩოხატაურის მომღერალთა გუნდი.

ვლ. ბინზბერმის ფოტო.

მეთერთმეტე დღე

ფესტივალის აფიშა

დღეს, პირველ ივნისს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართება ფესტივალის დასკვნითი კონცერტი, რომლის პირველი განყოფილების პროგრამაშია თანამედროვე აზერბაიჯანელი კომპოზიტორების სიმღერები: მონაწილეობენ აზერბაიჯანის სახელმწიფო საესტრადო-სიმფონიური ორკესტრი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის მუსლიმ მაგომაევის ხელმძღვანელობით, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „გაია“ და „სევილი“, ხალხური საკრავთა ორკესტრი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ზ. ხანლაროვა.

მეორე განყოფილება სომეხ სტუმრებს დაეთმობათ. პროგრამაშია ა. აკაევიანის, ხ. ავეტისიანის, რ. ამირხანიანის, ა. ბაბაჯანიანის, ე. ბალდასარიანის, ი. კაზარიანის, მ. მავიხკალიანის, ა. ორბელიანის, რ. პეტროსიანის, ა. სატიანის, ხ. შაქარიანის ნაწარმოებები; მონაწილეობენ: სომხეთის ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკესტრი (ხელმძღვანელი მ. მავისაკიანი), ე. ბინიკიანი, ლ. ხოვიანეცი, ა. აბრამიანი; რესპუბლიკის დამსახურებული კოლექტივი — კასპელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, სომხეთის საგუნდო საზოგადოების გუნდი.

კონცერტის მესამე განყოფილებაში შესრულდება ქართველ კომპოზიტორთა საესტრადო ნაწარმოებები, მონაწილეობენ: საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“ (სამხატვრო ხელმძღვანელი გ. ვაჩიჩილაძე), ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „დელიო“, „ივერია.“





...ᲓᲐᲑᲚᲐᲓ ᲕᲣᲙᲠᲐᲕᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲧᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ

ᲕᲣᲒᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

...ᲐᲘ ასეთი გულითადი სიტყვე... — „მდაბლად ვუკრავთ თავს ...რისკაცის დედას“ — იწყება ბე... წერილი, რომლებიც მოსდის ...ნია ივანეს ასულ შალამბერი... მას შემდეგ, რაც „პრავდა“ ... „ჯარისკაცის დედა“ (1974 ...ლის № 141).

...დიდ ქართულ სოფელ ჭითა... ...ულს დღემდე არ ახსოვდა წე... ...ლების ასეთი უხვი ნაკადი — ...ისკოვიდან და სვერდლოვსკი... ...ან, კაუნასიდან და ვინნიცი... ...ან, მოგილიოვიდან და ნოვგო... ...ოდიდან, ბრესტიდან, გორკი... ...ან, ტომსკიდან, ქვეყნის სხვა ...ლაქებიდან და სოფლებიდან.

...ამ წერილებშია აღტაცება ორი ...რისკაცის — ქართველისა და ...ესის — ა. შალამბერიძისა და ...ბოკოვის თავდადების გამო, ...ომლებმაც თავიანთი სიცოცხ... ფასად უზრუნველყვეს ასე... ...ლის გადასვლა ახალ ზღუ...ებზე; მეგობრული სულიერი ...ანაგრძნობაც ჯარისკაცის დე...ადმი, რომელიც ოცდათო...ეტი წელია თავდავიწყებით ...ებს თავისი შვილის ალიოშას ... მისი მეგობრის მიხეილის ...ფლავს, იმედის წმინდა ძა...ებიც, რჩევაც, წინადადება...ც.

...არა, მან ჯერ კიდევ ვერ იპოვნა ...ინი, ვინც ამ ბეჭების გვერდით ...დიოდა ომის მათთვის მოკლე, ...მა ძალიან ძნელ გზაზე, ვინც ...ი შვილის დაღუპვის მოწმე ...ო. მაგრამ სონია ივანეს ...ულს ახობით გაუჩნდნენ ახალი ...ეგობრები.

...კორესპონდენციაში, „ჯარის...ცის დედა“ მოთხრობილი იყო, ...ომ ომის პირველი წლის იმ ...ორეულ დღეს ლეიტენანტმა ...ოკოვმა ჯარისკაცები ა. შალამ...რიძე და მ. მიშაკოვი გაიცნო ...ოს უკანასკნელ, მაგრამ სიცოცხ...ლეში ყველაზე მთავარ პოსტ...ზე — ნიმაღლეზე, მშობლი...ური მიწის დასაცავად.

...და აი ქართულ სახლში მოვი...და წერილი მუშა ივანეს ასულ ...ოკოვასაგან, ლეიტენანტ პეტ...ე გლების-ძე ყიდკოვის ცო...ისაგან, იქნებ სწორედ ომის ცო...ისაგან, რომელიც მაშინ ასულს ...ეთაურობდა. ყველაფერია შესა...ლებელი.

„საუკვირელო სონია ივანეს ასუ...ლო, — სწერს მ. ყიდკოვა, — ...ქვენი მწუხარება ახლობელია ...ემთვის. კვლავ და კვლავ ვკი...ხულობ „პრავდას“ და ვპოუ...ობ აქ ამაღელვებელ სტრი...ონებს. ომამდე თქვენი ალიოშა ...ოუნასში მსახურობდა. იქვე იყო ...ემი ქმარიც, ლეიტენანტი ყიდ...ოკოვი, ქადრის მეთაური. 1912 ...ელს დაბადებული. ომმა იმ ...ალაქში მოგვისწრო მეც და ...ემს ორი წლის გოგონა ოლიო...ც. მახსოვს: ჩემი ქმარი ნა...ილში წავიდა ომის დაწყებამდე ...ორი დღით ადრე. და მეტი აღარ ...ინახავს. მხოლოდ ეკაკუციის ...წინ დამირეკა ტელეფონით. მო...ხრა, შენთან შემოვალიანო. ...უკანასკნელი წერილი მისგან მი...ვიე 1941 წლის 15 ოქტომბერს. ...უკანა მისამართით — სკკელე ...ოსტა სადგური 788.232 მ. პ. ...ასეული. მას შემდეგ მეც ...ეძებ ჩემი ქმრის საფლავს.

...ᲗᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ...ქვენი შვილისა და მისი მეგო...რის ფოტოსურათს, და ვფი...რობ: სადაც მინახავს ეს ბე...ეები. ან იქნებ მხოლოდ მეზ...ენება, რომ ეს სახეები ჩემთ...ვის ნაცნობია?“

...იმედის რაღაც ძაფი. მართალია, ...ეიდკოვების გვარი ფრიად გა...ვრცელებულია. მაგრამ სხვ კა...ეშრის თავდაცვის სამინისტ...როს არქივის მუშაკებმა გვაცნო...ბეს, რომ 182-ე მსროლელი დივიზიის მსროლელი ასეულის მეთაური ლეიტენანტი პეტრე გლების-ძე ყიდკოვი, 1912 წელს დაბადებული, უკვალოდ დაიკარგა 1941 წლის 18 ოქტომბერს. ყურადღება მიაქციეთ — დაბადების წელი ემთხვევა. ემთხვევა ამ კაცზე უკანასკნელი ცნობების თარიღებიც — 1941 წლის ოქტომბერი. სწორედ ოქტომბერში მუშა ივანეს ასულს შეუწყდა ქმრისაგან წერილების მიღება, და ამავე დროს, გამოდის, ლეიტენანტი ყიდკოვი უკვალოდ დაიკარგა. რა თქმა უნდა, ასეთი ცნობები არ კმარა ამისათვის დარწმუნებით სათქმელად, რომ სახელდობრ ეს არის სწორედ ის ყიდკოვი, იმ ასეულის მეთაური, რომლის გადმოსვლასაც იფარავდნენ ჯარისკაცები ა. შალამბერიძე და მ. მიშაკოვი.

...და აი წერილი გორკიდან ...ნიკოლოზ მიშაკოვისაგან.

„მე მაქვს ამონაბეჭერი გაზეთ „პრავდის“ 1945 წლის 4 ნოემ...ბრის ნომრიდან, — იწერება მიშაკოვი, — რომელსაც გა...ნსვენებული მამაჩემი ინახავდა 28 ...წელიწადს, თავისი გარდაცვალე...ბის დღემდე. იგი დარწმუნებუ...ლი იყო, რომ აქ ლაპარაკია ...მის ძმაზე (ჩემს ბიძაზე)“.

...ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ...ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲨᲐᲙᲝᲕᲘᲡ ...ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ.

...ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ...ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲨᲐᲙᲝᲕᲘᲡ ...ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ.

...ᲛᲔ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗ ...„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ 1945 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲜᲝᲔᲛ...ᲑᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲘᲠᲘᲓᲐᲜ, — ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ ...ᲛᲘᲨᲐᲙᲝᲕᲘ, — ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲒ ᲒᲐ...ᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ 28 ...ᲬᲚᲔᲚᲘᲬᲐᲓ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑ...ᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ. ᲘᲒᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣ...ᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘᲐ ...ᲛᲘᲡ ᲫᲛᲐᲖᲔ (ᲩᲔᲛᲡ ᲑᲘᲫᲐᲖᲔ)“.

...ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ...ᲬᲚᲔᲑᲘᲡ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲠᲘᲚᲘ ...Ე. ᲘᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲖᲔᲗ...ᲨᲘ ᲬᲔᲠᲓᲐ: „ᲘᲡ ᲘᲧᲝ 1941 ᲬᲚᲘᲡ ...ᲗᲔᲑᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ...ᲓᲦᲔᲑᲘᲡ. ᲒᲝᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝ...ᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ...ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲞᲔᲢ...ᲠᲔ ᲒᲚᲔᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲧᲘᲓᲙᲝᲕᲘ, 1912 ᲬᲔᲚᲡ ...ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲣᲙᲕᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐ...ᲠᲒᲐ 1941 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ...ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲝᲗ — ᲓᲐᲑᲐ...ᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ. ᲔᲛᲗᲮᲕᲔ...ᲕᲐ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝ...ᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲘᲡ ...ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲛᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲡ ...ᲬᲚᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡ ...ᲛᲘᲨᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ ...ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ. ᲛᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ...ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ...ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ. ᲛᲐᲗᲘᲡ ...

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

აი მათი ხელოვნება

ხულ ერთი წელია, რაც პიონერთა და რკინიგზელთა ხალხთან ჩამოყალიბდა ვოკალურ-ინსტრუმენტულ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „ნერგები“ (მხატვრული ხელმძღვანელი ნ. მდინარაძე, მუსიკალური ხელმძღვანელები ნ. ნიკოლაიშვილი და დ. კეკლიშვილი, ქორეოგრაფი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ბახტაძე) და იგი უკვე ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ პოპულარული გახდა.

„ნერგების“ შემსრულებელთა ასაკია შვიდიდან ათ წლამდე. ინსტრუმენტებს ბიჭუნები უკრავენ, ამავე დროს ისინი გოგონებთან ერთად მღერიან, ცეკვავენ.

პატარების პროგრამაშია ქართველ და რუს კომპოზიტორთა ხალხურ მელოდიებზე აგებული ნაწარმოებები. ამ სიმღერებში ბავშვები უმღერიან დედას, საქართველოს, პარტიას, თბილისს, უცნობი ჯარისკაცის ხსოვნას და სხვ.

„ნერგები“ რამდენჯერმე იყო მოსკოვში ცენტრალურ ტელევიზიაში მიწვეული „საახალწლო ცისფერ ეკრანზე“ და „ორლეონოკის“ გადაცემებში მონაწილეობის მისაღებად. „ნერგების“ მთლიანი პროგრამა გადაცემულ იქნა „ინტერვიზიით“ საზღვარგარეთის მაყურებლებისათვის.

„ნერგებმა“ მაღალი შეფასება დაიმსახურა ხალხთაშორისო მე-8 რესპუბლიკურ ფესტივალში და ლაურეატი გახდა.

ანსამბლის წევრებმა წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი და ამ დღეებში დასასვენებლად გაგრაში გაემგზავრებიან. პატარები საქართველოს სანაოსნოს მიწვევით კონცერტებს გამართავენ შორეული ზღვაოსნობის მეზღვაურებისათვის. ამავე დროს საქართველოს ტელევიზიის კინოჯგუფი ანსამბლის ხელოვნებაზე გადაიღებს ახალ სატელევიზიო ფილმს. („კომ“. კორ.)

* * *

ᲮᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ანსამბლი „ნერგები“.

ს. კილაძის ფოტო.

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

ა. კანდელაკის ნახატი.

დაგვიანებული სტუმარი

ფერად-ფერადი სიზმრებით დამტკბარი ნათლული მშვიდად ფშვინავდა. მეზობლად, მეორე ოთახში კი დირექტორი — ნათლია ვარლამ ვარლამიჩი სუფრის თავში იჯდა და თამადობდა.

ლხინი სუბრდინაციის ყველა წესის დაცვით მიმდინარეობდა. ისმებოდა და ისმებოდა თავაკაცრა შუშუნა ღვინო, ენამზეობდა თამადა, სასმისს სასმისზე სცლიდა და გრძელი მონოლოგებით ასაჩუქრებდა მაგიდის წევრებს.

— ჩვენი სიცოცხლე მზის შუქზე მოცახცახე ჩრდილია, ამიტომ, რასაც დავლევთ, ის შეგვრჩებაო, — დროდადრო იმორებდა ვარლამ ვარლამიჩი და გრძელი მაგიდის ირგვლივ შემომსხდარ თავის მოადგილეებსა და საამქროების უფროსებს, საოცრად რომ ჰგვანდნენ ერთმანეთს და ერთი მთლიანი მასა გეგონებოდათ, ჭრილივით გადახდადადა და სასმელს აძალებდა.

„ერთი მთლიანი მასა“ კი თვალებში შესცივინებდა დირექტორ თამადას, მოწონების ნიშნად თავისკენ-კენტურით ეთანხმებოდა და მის საამებლად ბოლომდე იცლებოდა პირთამდე სავსე ჭიქები, ზოგჯერ ყანწებიც — იცოდნენ უფროსს არ უყვარდა სუფრაზე ნაზმაზობა, სმაში ასკინკილას თამაში, საღეღრძელოდან თავის დაძვრენა.

ღვინოს მრავალი ბური გაუხეთქავს, ნათქვამია. რა თქმა უნდა, არც ამათი დაჯაბნა გაუჭირდა და ლხინი ახალი დაწყებული იყო, რომ ქაოსმა იჩინა თავი; მაგიდას ჯერ სასმელით გატაცებული ქმრების უყურადღებობით გულნაკლული მეორე ნახევრები გაერიდნენ, „საშინელი ერთფეროვნებაო“, — გადაუურჩულეს ერთმანეთს და სათითაოდ გაეკრიფნენ ცალკე კუთხეში, მერე — ღვინისაგან გასაკვირვებულმა ზოგიერთმა კაცმა გაინაპირა მაგიდიდან და თამადას ბახუსის მოყვარულთა მრავლიდა შემოერჩა.

ქალების განცალკევებამ დიდი ოთახი თითქოს ორ ნაწილად გაყო — მოქეიფე კაცების კუთხედ, სადაც ღვინით შეზარხოშებულთა ყიჟინა იდგა, და დედაკაცების კუთხედ, საიდანაც გულნაკლული ქალების ჩივილი მოისმოდა:

— ჩემი ბედოვლათი ამაღამ აღარ მომასვენებს: ჰე, ქალო, „ბორჯომი“ დაშალეგინე, ჰე, ქალო შეგლზე ცივი ტილო დამაფარე, — ამბობდა ერთი მაგანი და შეჭმფინარი ზღვისფერი თვალები სევდით ებინდებოდა.

— ჩემმა ამაღამაც თუ იჭირვეულა ძილში, შავდღეს დავყარო, — გამოეხმაურა მეორე და მთვარესავით ქალთა სახეზე ჩრდილმა გადაურბინა.

— ჩემი ხათრიანია, ეგ სასიკეთილე, უარი ვერ უთქვამს შვფისათვის, ოორეს სასმელი მაგისთვის საწამლავია, — თქვა მესამემ და მარმარილოსებრ ჩამოქნილი წვრილი თითებით ფრთხილად უკან გადაიწია შუბლზე ჩამოშლილი თმის კულული.

მეოთხემ ცხვირში ღიღინით წამოიწყო რომელიღაც ჰანგი, სხვებიც აიყოლია და ქალების კუთხეში მსუბუქ ტალღასავით გაიმრიალა მოგუდულმა მელოდიამ, მაგრამ თამადის კუშტმა გამოხედვამ და ქმრების დაბრიალებულმა თვალებმა ქალებს ტუჩებზე შეაყინა სიმღერის ოქტავები და მის ნაცვლად კვლავ მონოტონურად გაისმა ვარლამ ვარლამიჩის მორიგი საღეღრძელო-მონოლოგი, რომელიც, ვინ იცის, როდის დამთავრდებოდა, რომ სადარბაზო ზარს არ შეეშალა ხელი. მასპინძელმა კარს მიაშურა, ორიოდე წუთის შემდეგ დაბრუნდა, მოხდენილი ყმაწვილი კაცი შემოიყვანა და გოგის სახელით წარუდგინა დამსწრეთ.

— ჩვენი ოჯახის ძვირფასი მეგობარია, რაიონში მუშაობს აგრონომად, — დასძინა მასპინძელმა და სტუმარს სკამი შესთავაზა.

დაგვიანებული სტუმარი თავის დაკვრით მიესალმა შეკრებილთ, უწყინარი უარით აიცდინა სავსე ყანწი, მორჩილი ჭიქით დალოცა ჯერ პატარა იუბილარი, მერე მაგიდის წევრები, უიცრად ქალთა კუთხეში ნაცნობ მანდილოსანს მოჰკრა თვალი, ქალთა საზოგადოებისაკენ გასწია. ამის გამო თამადამ დაგვიანებით შემოსწრებულ ულზე რაღაც ხმადაბლა წაიქილიკავა, ისე, მხოლოდ მის მრავლს რომ გაეგონა, თავისი სათქვამით გაუნელა წყენა მეგობრებს და უწინდელი რიხით განაგრძო სუფრის ხელმძღვანელობა. მაგრამ მაგიდის გაძღოლის ერთხელ მომლილი ზამბარა ვერა და ვერ გაასწორა. ცალი თვალით თუ შეფს შესცქეროდნენ, მეორე თვალი კაცებს ქალებისაკენ ეჭირათ და ის თვალი თანდათან ებინდებოდათ ეჭვიანობის ბურუსით. დიახ, მათ გულში ეჭვიანობის ჭიას გაღვიძებოდა და ამ ჭიას ცალკე ღვინის მხუთარი ასაზრდოებდა და, ცალკე — მათი მეორე ნახევრების წრეში დაგვიანებული სტუმრის ყოფნა, რომლის წყალობით ქალების კუთხეში მოულოდნელად მოზღვავდა მხიარულება და აღტაცება: ისინი ხედავდნენ, რომ თავიანთი ცოლები გულიანად იცინოდნენ და ხმამაღლა კისკისებდნენ გოგის მოყოლილი სახუმარო ამბების მოსმენის დროს. მერე ქალებიც აპყენენ და სიცილ-კისკისსა უფრო იმძლავრა. გოგიმ ახლა ლექსები გაიხსენა, ცოლები არც ახლა ჩამორჩნენ და მეორე კუთხე ლიტერატურულ სალონად იქცა, სადაც მშვენიერ ასულთა ბაგეთაგან მარგალიტებივით ცვიოდა აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის ლექსები...

პოეზიით რომ გული იჯერეს, დაგვიანებულმა სტუმარმა კედელზე დაკიდებული გიტარას წაატანა ხელი, მუხლებზე დაიდო, სიმებს თითები ჩამოაჭარა, დაუკრა და დაიმღერა. ქალებმა სიმღერაც აიტაცეს, გოგის დაბალ, ოდნავ ღუღუნა ხმას თავიანთი ნაზი ხმები შეეერთეს და იქიდან ტალღასავით წამოსულმა მელოდიამ — „გამოღმითა მე ვარ, გაღმითა შენ“ თითქოს წალკა ქმრებიც და მათი ნადიმიც, აქედან მეზობელ ოთახში გაიჭრა და ნანსავით ჩაესმა ჩაძინებულ ნათლულს...

კაცებს ღვინის მხუთარმა გაუარათ, თამადას აღარ უსმენდნენ, მთელი გულისყურით თავიანთი ცოლებისაკენ იყურებოდნენ და მოუთმენლად მოელოდნენ, თუ კიდევ რა სიახლით გაახარებდა თვალებგაცისკროვნებულ თავიანთ მეორე ნახევრებს ეს დაგვიანებული უცნაური სტუმარი.

— უპატრონო ეკლესია ხომ არა ჰგონია ამ გოგის ჩვენი ქალები! — აღმოხდა ერთ მათგანს და ეჭვისაგან დაბინდულ თვალებში სიშმაგის ნაპერწკლები გამოუკრთა.

— ეტყობა ჩვენებური დონჟუანია, — კვერი დაუკრა მეორემ, მასპინძელს გადახედა და ენის წვერზე მომდგარი უწმაწური სიტყვა ლუკმასავით გადაყლაპა.

— არა, ევროპელი ლოველასი ჩანს, ეგ ჩვენი ცოდვით სავსე, — დაუმატა მესამემ და თვალი გადაავლო შუშუნა ღვინით გაგსებულ სასმისიებს, რომელთა დალევის ხალისი დაუკარგა დაგვიანებულმა სტუმარმა.

— ფრთხილად, ბიჭებო, ქალების მუსუსია, — ბოლოს დაგუგუნა თამადამ და სკამიდან ძმიმე-ძმიმედ წამოიმართა. თითქოს შეფის წამოდგომას უცდიდნენო, სხვებიც წამოიშალნენ და თამადის სარდლობით თავიანთ ცოლებისაკენ დაიძრნენ.

ქალებიც წამოიშალნენ და ისეთი გასაოცარი სინაზით შეეგებნენ თავიანთ პირგამეხებულ ქმრებს, რომ უეცრად კაცების მზერაში მუქარას რაღაც იდუმალი მონანიება შეენაცვლა...

ახალმონათლული ისევ მშვიდად ფშვინავდა მეზობლად, დიდი ოთახის ერთ კუთხეში კი ჯინტად იდგა დაგვიანებული სტუმარი, უყურებდა ცოლებისა და ქმრების შეხვედრის სცენას და ოდნავ ირონიით იღიმებოდა. ის არც დონჟუანი იყო, არც ლოველასი, არც „ქალების მუსუსი“, იყო მანდილოსნების ღირსებათა კილო-ყაღრის მცოდნე და დამფასებელი.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲓᲐᲒᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ

ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

— ᲓᲘᲚᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲒᲘᲡᲐ...

Შ. ᲒᲔᲜᲒᲘᲨᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

— ᲓᲔᲓᲘᲙᲝ, ᲒᲔᲮᲕᲔᲬᲔᲒᲘ!

Კ. ᲧᲣᲨᲣᲜᲘᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ

Ი. ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

წაუკითხეთ პატარებს

მედალოსანი ბიჭი

მეც ვიძიე მტერზე შური
ქალაქების დაწვისთვის.
მედალიც მაქვს გენაცვალე:
„კავკასიის დაცვისთვის“.

გეტყვი, საქმე როგორც არის,
ნუ გამამხელ, ოღონდ, თინა:
ხან — ჩემია ეს მედალი,
ხანაც — ბებუს უკეთია!...

ახალი მანქანა

— პი-პი! მალე კახეთში
ჩავალ ამ პიპიათი!
— შენს პიპიას რა ქვია?
— რა ჰქვია და — „ფიატი!“

— „ეიგულია“ ეს მანქანა,
ნუ ეძახი „ფიატს!“
— მაშინ კომშიც — კომშია და
ნუ ეძახიო ბიახს!

ვის რა უყვარს

ნაილი და ნია —
ლებნებივით ტყუპი!
ნიას უყვარს ბორშჩი,
ნაილის კი — სუფი!

— რომელია, ბებო,
უფრო სწორი ორშა:
რა სჯობს — ქათმის სუფი,
თუ წიოელი ბორშჩი!

რეგბისტი

— შენ ასე ნუ უყურებ,
სპორტსმენია ეგ ბიჭი!
ტოლი არ ყოფილ
წყალბურთში,
კალათბურთში, რეგბიში!
— მართლა— მართლა:
რეგბიშიც?

ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ.

ᲜᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲠᲐ

— რას აკეთებ ნიკო, რასა?
— თევას ვაჭმევ ნიკორასა!

ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘ

ვინც ახარა ნერგები,
ხალო, მას შეერგები.

Ა. ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

აბა, გამოიცანი

ეს თანაც გასართობია,
ეარგად დაფიქრდი, ღვთისო.
ოთახის ოთხივ კუთხეში
დამჯდარა თითო ფისო.
თითოს წინ სამი ფისო ზის,
ყველას გარკვევით ვხედავ.
ფისუნები ოთახში
რამდენი არის ნეტავ?

* * *

ქარმა ბიდან ტყაპატყუპით
ჩამოყარა ვაშლები,
იმ წამშივე ასაკრეფად
მიესივნენ ბავშვები.
ელისომ და მზევინარმა
შეაგროვეს ცამეტი;
აფშინამაც იმდენივე,
არც ნაკლები, არც მეტი.
მათზე ათით, უმცროსი
წამოკრიფა ალუდამ.
ვაშლთა რიცხვის გამოცნობას
დიდხანს ფიქრი არ უნდა.

* * *

პაპაწინა ნაზიბროლას
საყვარელი პაპა
უამბობდა ხოლმე მრავალ
არაკსა და ზღაპარს.
ცოცქნა გოგო გაიზარდა,
პირველ კლასში გახლავთ,
ნაზიბროლამ ჩინებული
კითხვა იცის ახლა.
გუშინ სახლში მეწვია და
სიამაყით მითხრა,
რომ ზღაპრების მთელი წიგნი
თვითონ წაუკითხავს,
სამი — კვირას წაიკითხა,
ორით მეტი — შაბათს,
სულ რამდენი ზღაპარია
იმ კრებულში, აბა?

Შ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲫᲚᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲦᲘᲛᲘᲚᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲣᲔᲚᲣᲠᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲗᲐᲜ.

Ა. ᲔᲠᲐᲫᲘᲡ ნახატი.

ᲖᲐᲕᲮᲣᲚᲘ ᲒᲕᲔᲬᲕᲘᲐ

ᲓᲐᲓᲒᲐ ზაფხულის პირველი თვე ივნისი. როგორი იქნება იგი?

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში — 20-21, მთიან რაიონებში — 18-19, მაღალმთიან რაიონებში — 12-14 გრადუსი, რაც ნორმასთან ახლოა მცირე დადებითი გადახრებით, ნალექების თვიური ჯამი 70-170 მმ. შეადგენს, რაც ნორმასთან მიახლოებული, ხოლო ალაგ-ალაგ ნორმაზე მეტი იქნება.

1-10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით — 13-18, დღისით დეკადის პირველ ნახევარში—19-24, მეორე ნახევარში — 27-32, მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით — 20-25 გრადუსი სითბო.

11-20 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ — ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის პირველ ნახევარში უმეტესად უნალექო ამინდი, მეორე ნახევარში — ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით — 14-19, დღისით — 25-30; მთიან რაიონებში ღამით — 11-16, დღისით — 22-27 გრადუსი.

21-30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ — ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის შუა ნაწილში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, დანარჩენ დროს — უმეტესად უნალექო ამინდი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით — 16-21, დღისით — 28-33, მთიან რაიონებში ღამით — 10-15, დღისით — 23-28 გრადუსი.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია 19-22 გრადუსი, მთიან რაიონებში — 15-17, მაღალმთიან რაიონებში — 10-13 გრადუსი, რაც ნორმასთან ახლოა მცირე დადებითი გადახრებით.

ნალექების თვიური ჯამი ქართლის ვაკეში შეადგენს 60-90 მმ., დანარჩენ რაიონებში — 130-200 მმ., რაც ნორმასთან მიახლოებულია, ალაგ-ალაგ კი — ნორმაზე მეტი.

1-10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით — 12-17, დღისით — 29-34, მთიან რაიონებში ღამით — 9-14, დღისით — 21-26 გრადუსი.

11-20 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ — ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის პირველ ნახევარში უმეტესად უნალექოდ, მეორე ნახევარში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით — 12-17, დღისით — 29-34, მთიან რაიონებში ღამით — 9-14, დღისით — 20-25 გრადუსი.

21-30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ — ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის შუა ნაწილში — ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით — 14-19, დღისით, დეკადის პირველ ნახევარში —20-25, მეორე ნახევარში — 20-25, მთიან რაიონებში ღამით — 7-12, დღისით — 19-24 გრადუსი.

Ნ. ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

თბილისის ამინდის ბიუროს ინჟინერ-სინოპტიკოსი.

ᲒᲔᲕᲠᲘ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲒᲐᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲡ

ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ დედაქალაქი—დუშანბე ემშვიდობება სტუმრებს, წყალში ხტომაში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალისტებს. ზოგი გახარებულია წარმატებით, ზოგიც ხელცარიელი ბრუნდება შინ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ვერც პირველ რიგებს მივაკუთვნებთ და ვერც მეორეს. ერთი რამ ცხადია: უკეთეს შედეგს ველოდით.

ზედიზედ წარუმატებლობის შემდეგ (მხედველობაში გვაქვს სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომები) ს. ნიკოლოტოვას ფინალში გასვლა 10-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ დასკვნითს ასპარეზობაში, სადაც 8 სპორტსმენი გამოდიოდა, ხომ შეიძლებოდა თუნდაც ერთი-ორი საფეხურით წინ წაწევა. საბოლოო ანგარიშით. ს. ნიკოლოტოვა ფინალისტთა შორის ბოლო, მერვე ადგილზე აღმოჩნდა, 6 ქულა. მიიღო, გუნდი კი მეცხრე ადგილზე გამოვიდა.

წინა სპარტაკიადაზე ასეთივე ადგილი გვეჭირა, მაგრამ ამ განსხვავებით, რომ მაშინ არცერთი ქულა არ გვქონდა. ჩვენი ნაკრების სხვა მონაწილეებმა საკუთრნირო ცხრილში მეტად არასახარბიელო ადგილები დაიკავეს. საერთოდ მეექვსე ადგილისათვის მწვავე სპორტული დავა მიმდინარეობს ყაზახეთისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. ჯერ წინ არიან ყაზახეთის სპორტსმენები. ამდენად დუშანბეში წყალში მხტომელთა ასპარეზობას ორივე გუნდისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენთვის ჯერ კიდევ გარკვეული არ არის ყაზახეთის გუნდის სამმა ფინალისტმა რა ადგილები დაიკავეს, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ქულათა სხვაობა გაიზარდა ყაზახეთის გუნდის სასარგებლოდ.

Ვ. ᲒᲐᲑᲔᲚᲘᲐ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. თბილისი „დინამომ“ განმეორებით ამხანაგურ მატჩში პოლონეთის ქალაქ ლოძში კვლავ დაამარცხა ადგილობრივი ლკს — 81:75 (41:42). ამ შეხვედრაში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა პულავსკიმ —24.

ᲙᲕᲚᲐᲕ გრძელდება აშშ-ის ქალთა ნაკრების ტურნე ჩვენს ქვეყანაში. ბოლო მატჩში ამერიკელმა კალათბურთელებმა ალმა-ათაში წააგეს ყაზახეთის ნაკრებთან — 53:66 (22:28).

ᲮᲝᲙᲔᲘ. ლენინგრადის სკა-მ შეინარჩუნა უფლება გაისადაც გამოვიდეს საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ნევისპირელებმა თავის მოედანზე მეორე გადასასვლელ მატჩში კვლავ დაამარცხეს სვერდლოვსკის „ავტომობილისტი“ — 6:2.

მკლეოსნობა. სოჭში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „პრავდის“ პრიზზე, რომელშიც 21 ქვეყნის მძლეოსნები გამოდიოდნენ. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა შუბის ტყორცნაში სვეტლანა ბაბიჩმა (მოსკოვის ოლქი) — 63,02 მ. 200-მეტრიან დისტანციაზე ვაჟთა შორის გაიმარჯვა ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა, კიეველმა ვალერი ბორზოვამ, ხოლო ქალებში — ბრიანსკელმა სვეტლანა ბელოვამ. სტაიერთა შორის 5 კილომეტრზე უძლიერესი იყო სმოლენსკელი ივანე პარლუი.

ᲓᲔᲓᲝᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის მატჩები გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე.

აი მოსასპარეზენიც:

„დინამო“ კ. — ცსკა; „ჩერნომორეცი“ — „პახტაკორი“; „არარატი“ — „ზარია“; „ზენიტი“ — „დინამო“ მ; „ლოკომოტივი“ — „დნეპრი“; სკა — „პახტაორი“; „კარპატი“ — „დინამო“ თბ.

გუშინ კი ჯაბარეთა ამ ტურის პირველი მატჩი: „ტორპედო“ — „სპარტაკი“. ანგარიშით 4:0 გამარჯვეს ტორპედოელებმა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

. ᲞᲔᲚᲔ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, ნიუ-იორკ კლუბმა „კოსმოსმა“, რომელიც თბილისს მოლიანად უცხოელი ფეხბურთელებისაგან შედგება (აქ თამაშობენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი „ვარსკვლავი“ ბესტი და ურუგვაის ნაკრების ყოფილი კაპიტანი მასნეიი), დიდად ხელსაყრელი კონტრაქტი აღუთქვა პელეს. თუ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ბანავიდოდა და ამ კლუბში დაიწყებდა თამაშს.

მაგრამ პელემ ყური არ ათხოვა „კოსმოსის“ თხოვნას. მან განაცხადა. — კვლავინდებურად ბრაზილიაში დავრჩები და ჩემს სამშობლოს გავაკეთებ, მოვძებნი და აღვზრდი ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელებს.

ᲔᲕᲠᲝᲞᲐ— ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ

18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ რიო-დე-ჟანეიროში დაინიშნა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ნაკრებთა მატჩი. ევროპის ნაკრებს აქ შეხვედრისათვის ამზადებს გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი შოონი. გუნდში გამოვლენ ვიქტორი, პიკარნიკი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ქრუიფი, ნეეხკენსი (ჰოლანდია), ედსტრომი (შვეიცია), ტომაშევსკი, დეინა, ლატო (პოლონეთი), ბეკენ-ბაუერი, ფოგოსი, ბრაიტნერი, ნეტცერი (გფრ) და სხვა ცნობილი ევროპელი ფეხბურთელები. ხაბეჭთა ფეხბურთელებიდან გუნდში შეყვანილია კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი ბლოხინი.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალნენ ამავე ინსტიტუტის ჰიდრობიოლოგიისა და იქთიოლოგიის განყოფილების გამგე
ᲝᲜᲘᲨᲘᲜᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ-ᲫᲔ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲫᲔ
და ასპირანტი
ᲑᲠᲘᲜᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲯᲘᲕᲐᲠᲨᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულების ოჯახებს.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.05 — ფერადი ტელევიზია— დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30— ფერადი ტელევიზია — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 —„ვემსახურები საბჭოთა კავშირს“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — ფერადი ტელევიზია — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — „დღეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — „საჭადრაკო სკოლა“, 13.05 — „კინო და ბავშვები“, 14.00 — „მუსიკის სამყაროში“, 15.00 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 15.45 — „ჯადოსნური ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 16.05— მოსწავლეთათვის. კონცერტი — „დე, მუდამ იყოს მზე“, 16.45— ნახატი ფილმი, 16.55 — ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ქვეყნის ბავშვები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „კინოფიშა“, 19.00 — „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ — დასკვნითი კონცერტის ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან— შესვენების დროს — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა. ტრანსლაციის შემდეგ „ვრემია“—საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი).

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.05 —სტუდენტთა დასასმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის „კიდევაც ლაპარაკობენ“.., 18,30 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 18.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამირან ტორეოტაძე“, 19.10 — „ოსტატსაც მართებს ოსტატობა“, 19.25 — „სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა კონცერტი, 20.45 — ჩვენი სტუმრები, 21.10 — „მოამბე“, — საინფორმაციო პროგრამა, 21.40 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 22.00— „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ცეცხლი“, 23.45 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენი კიევი“, 24.00 — სპორტული პროგრამა. 1. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეექვსე საზაფხულო სპარტაკიადა. თანამედროვე ხუთჭიდი (გადმოცემა ერევნიდან), 2. ფერადი ტელევიზია. სპორტული დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან),



1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲐᲛᲐᲠ ᲚᲘᲜᲓᲝᲚᲘ (დღისით), ᲢᲠᲣᲑᲐᲓᲣᲠᲘ (საღამოს); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲛᲔᲤᲘᲜᲓᲘ ᲪᲐ; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲣᲠᲯᲘᲐ (დღისით), ᲘᲥᲜᲔᲑ ᲑᲐᲒᲕᲔᲚᲘ ᲨᲠᲘᲜᲒᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲒᲕᲐᲜᲐᲜ?!; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲣᲜᲐᲠᲣᲜᲐᲠᲘ ᲗᲣᲗᲐᲑᲔᲠᲘ.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09 პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, ბრიგადგანდის — 93-22-93, მოწყვლელობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის —